

## სოიას მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი

### ადგილი თესლბრუნვაში

სოია სუკეთესო წინამორბედია ყველა კულტურისათვის გარდა პარკოსნებისა, ის ამდიდრებს ნიადაგს აზოტით და სხვადასხვა საკვები ელემენტებით, რომელიც მის ფესვთა სისტემას ამოაქვს ნიადაგის ქვედა ფენებიდან. თავად სოიასათვის საუკეთესო წინამორბედია თავთავიანები და სათოხნი კულტურები, რომლებიც ნიადაგს ტოვებენ სარეველებისაგან სუფთას, რა თქმა უნდა, გარდა პარკოსანი კულტურებისა.



### ნიადაგის მომზადება

სოიასთვის ნიადაგი უნდა მოიხნას ღრმად არა ნაკლებ 25-27 სმ-ისა. აღმოსავლეთ საქართველოსთვის მზრალად, ხოლო დასავლეთ საქართველოსთვის ადრე გაზაფხულზე ისევე როგორც სიმინდისათვის. ნიადაგი უნდა დამუშავდეს და თესვის წინ გაფხვიერდეს კარგად.

### თესლის მომზადება

დასათესად გამოყენებული უნდა იქნეს რეგიონისათვის რეკომენდირებული ჯიში. თესლი უნდა იყოს გაწმენდილი და დახარისხებული მსხვილი და თანაბარი ფრაქციის. კარგი იქნება თუ თესვის წინ სათესლე მასალა დამუშავდება სპეციალური სოიას ნიტრაგინით.

### სოიას თესვა

სოიას ახალი აღმონაცენი უკეთ უძლებს წაყინვებს ლობიოსთან შედარებით, ამიტომ ის უფრო ადრეც შეიძლება დაითესოს ვიდრე ლობიო და სიმინდი. სოიას თესვის საუკეთესო პერიოდია, როცა ნიადაგის სათესი ფენა გათბება 10 გრადუსამდე. საქართველოსთვის სოიას თესვა ემთხვევა სიმინდის და ლობიოს თესვას. საქართველოს ბარის პირობებისათვის ეს პერიოდი ემთხვევა 10-დან 20 აპრილს.

სოია ითესება მწკრივთაშორის 60-70 სმ, ხოლო მცენარეთა შორის 18-20 სმ დაშორებით. შესაძლებელია ზოლებად თესვა, ზოლებს შორის იგივე მანძილი და ზოლებში მწკრივებს შორის 15-45-სმ. შესაძლებელია კვადრატულ ბუდობრივი თესვა 60X60, 70X70 სმ ბუდნაში 5-6 მცენარის დატოვებით. შესაძლებელია სოიასა და სიმინდის თესვა: ერთი მწკრივი სიმინდი და ერთი მწკრივი სოია და ა.შ. იმის მიხედვით თუ რომელი კულტურის მოსავალი უფრო მეტად გაინტერესებთ.

## **თესვის ნორმა**

სოია სუფთად თესვის დროს ითესება ჰექტარზე 30-40 კგ. სიმინდში შეთესვის დროს 10-14 კგ. ჩათესვის სიღრმე არის 4-5 სმ. დათესვისთანავე კარგია ნათესი მოიტკეპნოს.

## **ნათესის მოვლა**

სოიას ნათესი უნდა იყოს სუფთა სარეველებისაგან და ნიადაგი ფხვიერი. თესვის შემდეგ აღმოცენებამდე შესაძლებელია ნიადაგის ჰერბიციდის გეზაგარდის შეტანა, ან კულტივაციის ჩატარება მწკრივთაშორის და ჰერბიციდის მაგ. სვიფტის შეტანა და ა.შ.

ნიადაგის ანალიზების მიხედვით საჭიროა ნათესში შევიტანოთ საკვები ელემენტები. უმჯობესია გამოკვება ჩატარდეს ყვავილობამდე. სარწყავ ზონებში მორწყვა უნდა ჩატარდეს საჭიროებისამებრ აუცილებელია მორწყვა ყვავილობის დაწყებამდე და მარცვლის ჩამოყალიბების პროცესში.

## **მოსავლის აღება**

სოია უნდა ავიღოთ მომწიფების ფაზაში, რაც მდგომარეობს შემდეგში: მცენარის ღერო, ფოთოლი და პარკები გაყვითლდება, ფოთლები ჩამოცვივდება და მარცვალი გამაგრდება. მოსავლის აღების დაგვიანება არ შეიძლება, რადგანაც ზოგ ჯიშს მომწიფებისას ახასიათებს მარცვლის ცვენა. სოიას მოსავლის აღება ხდება კომბაინით ერთ ფაზად, შესაძლებელია მოსავალი ავიღოთ ორ ფაზად ე.ი. ჯერ მოიმკება, დაიყრება ღვარეულებად და შემდეგ გაშრობისას გამოილეწება კომბაინით. გამოცხვილი მარცვალი უნდა გაიშალოს დახურულ ფარდულში. გაშრობის შემდეგ უნდა გაიწმინდოს და დახარისხდეს დამხარისხებელ აგრეგატზე, 14 პროცენტი ტენიანობისას უნდა ჩაიყაროს ტომრებში და შევინახოთ კარგი ჰაერაციის მქონე საცავში.